

619

1996



ღმერთო,

აგრაგლა

სამართებლო!

დროება


№ 8 1996

ფოტოინფორმაცია



სულიმან დემირელის
ვიზიტი საქართველოში.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვიცე-კანცლერი, საგარეო საქმეთა მინისტრი კინკელი სტუშარად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ილია II-თან.




პეიდარ ალიევი და ელუარდ ზეგარდნაძე თბილისის
მეტროში.



ჯანსუღ ჩარკვიანი

მაინც დაპბრუნდებით!

ლიმა ჯაინანს



დაკოდლო, გულო, ჰყვირი,
ვერც ვერასდროს დაღუმდები,
სისხლიანი გზებით ვივლით,
მაგრამ მაინც დაპბრუნდებით.

იქნებ, ჩვენი ნაღლი ძმობის
უტყუარი საბუთებით,
იქნებ, სხვისი თოფი გეჯობნის,
მაგრამ მაინც დაპბრუნდებით.

ფრთებს დამსხვრეულს ისევ გავშლით,
ბველ ბუდეში ჩაპბრუნდებით,
იქნებ, სხვიც ჩაქრეს თვალში,
მაგრამ მაინც დაპბრუნდებით.

ლოცვა ჩვენი ცის და მიწის
თან დაგვეყვება გამუდმებით,
იქნებ ბრძოლით, იქნებ სისხლით,
მაგრამ მაინც დაპბრუნდებით.

კვლავაც მშობლიური მიწის
სიმღერებით გავბრუნდებით.
„ჩქიმი ჯიმა“, ცოტა გვიჭირს,
მაგრამ მაინც დაპბრუნდებით!

განახლებული „დროშა“...
თვით ამ სახელწოდებაში ძალიან ბევრი დევს პირადად
ჩემთვის.

ჩემი დროშა ჩემი ქვეყანაა.
ამ დროშის ერთი ნაწილი კი ჩემი აფხაზეთი... ჩემი სო-
სუმი... სუფთა, პრიალა, მწვანე სოხუმი თავისი ლამაზი ადა-
მიანებით, მცხუნვარე მშითა და მოალერსე ზღვით.

ახლა კი... დანგრეული, გაპარტახებული, ჭუჭყიანი ქალა-
ქი და ასეთივე ჭუჭყიანი საღლით... მზეც და ზღვაც სხვანაი-
რი, სხვისი.

დროშის ეს ნაწილიც ასეთივეა ალბათ.
მაგრამ მაღე, ძალიან მაღე ისევ ვინღაღათ ჩვენს ქალაქს,
ისეთს, როგორიც გვიყვარდა და კვლავ შეგვხვდება მის ქუ-
ჩებში ის ლამაზი ხალხი; კვლავ დაგვაცხუნებს მისი მომლი-
მარი მზე, კვლავ მოგვეაღერსება მისი თბილი ზღვის ტალ-
ღები. და დროშის ეს ნაწილიც მიიღებს თავის პირვანდელ
სახეს...

ვულოცავ სრულიად საქართველოს განახლებული „დრო-
შის“ დაბრუნებას.

ლიმა ჯაინანსი,
საპარტიზომოს სახალხო არბიტრი



აი ისიც: დმანის-ქალაქი!

უხმაუროდ ჩამოვედით ავტობუსიდან. დეკემბრის მოქუფრული ცის ფონზე და ირგვლივ ჩამომდგარ ჯანღში ირრეალური ჩანდა ძველი ნაქალაქარის ხედი, მდინარე მამავერას გაღმა რომ გამოიკვეთა.

კარგა ხანს მიონუსხული შვეცქეროდით ამ თითქოსდა დიდი ხელოვანის მიერ ნაქანდაკებ სურათს: „აქ ყიზილბაში და ხაზარები... ნაპერკვლის მტყორცნული ყივჩაღთა ცხენები... მიწა დაბზარული და ხმა საზარელი, აზიის ქეიშის და უდაბნოს ჩვენებით“...

ბატონი ჯუმბერის ისტორიულ ექსკურსს დიდი გულისყურით უსმენდნენ სოხუმის ე. გამსახურდიას სახელობის თეატრის მსახიობები და მათი წინამძღოლი დიმა ჯაიანი. ისინი პირველად იყვნენ აქ. სოხუმელები დმანისში ადგილობრივ მცხოვრებლებთან შეხვედრაზე მოიწვია დმანისის ახლადრამაფალიბებულმა თეატრმა და მისმა ხელმძღვანელმა ჯუმბერ კოპალიანმა. ბატონი ჯუმბერი დმანისის თავგადასავალს გვიამბობდა, მე კი გონებაში უნებურად ისევ მიტრიალულად ვიორგი ლეონიძის მოსხლეტილი, ნაკვდი სტრიაქონები: „ყვევილს ვერ ეკვამა თვისი ყვავილობა, ფრანკელს ვერ ეშოვნა საჯდომი ალაგი, ქვას ესხა ისინი, ხეს ჰქონდა ჭრილობა, ვფინა კალია“ - მინდერების დოლაქა“...

საუკუნეთა განმავლობაში ხელიდან ხელში გადადიოდა დმანის-ქალაქი. XIV საუკუნეში იგი თემურ ლენგის ურდოებმა დაარბიეს; XVI საუკუნეში მცირე ხნით ოსმალებმა დაიკავეს, XVII ს-ში კი - სპარსელებმა. სომხთ - საბარათიანოს უძველესი კარიბჭე საბოლოოდ მოირღვა XVIII საუკუნეში.

ისტორიულ წყაროებში დმანისი პირველად VI ს-ში იხსენიება, მეცხრე საუკუნიდან დმანისი მამავერას ხეობის ცენტრი ხდება. დმანისის ადრეული ფეოდალური ხანის საეპისკოპოსო კათედრალი განთქმული იყო მთელს ქვემო ქართლში. 1123 წელს დავით აღმაშენებელმა ობილიისის აღების შემდეგ გაათავისუფლა დმანისი მომხდურთაგან. ამის შემდეგ იწყება ამ მხარის ნამდვილი აღორძინება. დმანისისთვის, ასევე როგორც მთელი საქართველოსთვის, დგება ოქროს ხანი. 1936 წელს დაწყებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმაც



პარიაქილან

(ხელმძღვანელი მუსხელიშვილი და ვ. ჯაფარიძე) დადასტურეს ეს. დღემდე შემორჩენილია ლეონიძის შობის ეკლესია - ბარათაშვილების საჯარეული მონასტერი. გაირბინეს ქარტახილიანმა საუკუნეებმა: „აქ ისტორიამ განაფიგირია და მიწა ჩუმაღ ისინიჯავს ტკივილს“.

პირველად 1981 წელს, დმანისოზზე შევიგრძენი თითქოს ამ სიტყვების ჭეშმარიტი მნიშვნელობა, რომ დეკაკთა ნამაყარ მიწაზე ვიდექით და პოეტის თქმით, დამხვრეული ხმალია უღრიაღში, ძველი ყვდლების ხმაურს, წინაპართა გარდასულ მზეებში, წარღნების შხაპში, ბუკის ზრიალში: „ლომის ძახილი მეურებოდა“...

შეხვედრაზე, დმანისში რომ ჩატარდა, დიმა ჯაიანი იტყვის: „უსდღე არასოდეს დააეყვება სოხუმის თეატრის თანამშრომლებს.

სოხუმი...
დმანისი...
აფხაზეთი...
ქვემო ქართლი...
ჩვენი ქვეყნის ორი კარიბჭე - ერთი ჩრდილო-დასავლეთით, მეორე - სამხრეთ-აღმოსავლეთით.
აფხაზეთი: გადამწვარი, სიცოცხლეჩამქრალი, ხვალისდელი დღის მომლოდინე. ქვემო ქართლი, დმანისის მხარე - აღორძინების, აღმშენებლობის გზაზე დამდგარი,

ძირძველი ქართული მიწის ყვირი. როგორ ჰგავს ეს ორი მხარე ერთმანეთს, როგორი აუცილებელია ამ ორი მხარის აღორძინება. ეს ორი კარიბჭე თუ მოირღვა, საქართველოს ერთიანობის ფუძე ყოველთვის მორყეული იქნება. მე არასოდეს დამაფიწყებდა-მთქი ეს შეხვედრა... ამდენი ხალხი, ახალგაზრდები, ბავშვები! მოსახლეობის თითქმის ნახევარი ახლა აქ ქართველია. მიხარია, რომ ამ საქმის ერთ-ერთი მოთავე ჯუმბერ კოპალიანი - ჩემი მეგობარია, კაცო, რომელიც ამშვენებს არა მარტო ამ რაიონს, არამედ მთელ საქართველოს.

დაიას, ჯუმბერ კოპალიანის ინიციატივით შეიქმნა დმანისის თეატრი და ეს შეხვედრაც სოხუმის თეატრის მსახიობებთან მისი თაოსნობით შედგა.

ინტერვიუ
ჯუმბერ კოპალიანთან:

1. ბატონო ჯუმბერ, პირველი დმანისობიდან 15 წელი გავიდა. ამ წნის განმავლობაში თქვე უცვლელად მოღვაწეობდით ამ რეკონსტრუქციის შესახებ?

- პირველი დმანისობა, როგორც ცნობილია, ჩატარდა 1981 წელს. სამხრეთ საქართველოსთვის



ამ მეტად მნიშვნელოვანი დონის-
ბიების მოწყობაში ჩვენ, დამანი-
სის არქეოლოგიური ექსპედიცი-
ის წევრებმა, აქტიური მონაწილე-
ობა მივიღეთ. განსოვთ ალბათ,
არაერთი ცნობილი მწერალი, ზე-
ლოვების მუშაკი ეწვია ბუნ-
დმანისს, ისიც გეხსობებათ, მათ
შორის მცირე ჯგუფში სოხომიდა-
ნაც იყო. დამანისის არქეოლოგიუ-
რმა ექსპედიციამ (ხელმძ. ვ. ჯა-
ფარიძე) დიდი როლი ითამაშა ის-
ტორიული უსაპართლოსის გამო-
სასწორებლად და რაიონის ხუთი
სოფლის ხუთი ათასამდე მაცხოვ-
რებლის ალუდგინა ქართული გვა-
რი და ეროვნება. ამ სამუშაოშივე
რო საქმეში თავისი წვლილი შეი-
ტანა სხვათა შორის თქვენმა რე-
დაქტორმა, ბატონმა ჯანსუღ ჩა-

რული კვრების შექმნის პროცესში.
თეატრის სახით კი დანისში შე-
იქმნა ქართული კულტურის კერა.
ამ დიდ ეროვნულ საქმეში მხარში
მიღებან ჩვენი სახელოვანი მსა-
ხიობები: ზინაიდა კვერენჩილა-
ძე, გიორგი გვეგეჭორი, ედგარ
მადალაშვილი, ოთარ მელვინეთუ-
ხუცესი, კარლო საკანდელიძე და
თეატრის თანათან იდაგას ფეხს.

ამ საუბრის დროს ჯუმბერ კო-
პალაიანის ბინაში შემოვიწვირო
ქალბატონი ზინაიდა კვერენჩი-
ლაძე და მე უბოდიან არ გავუშვი
შემთხვევა, თრიოდე კითხვა არ
დამეხსეა მისთვის:

— ქალბატონო ზინა, როგორ
წამოვიტყვიანთ ამ რევიონის თე-
ატრის მომავალი?
— მომავალი მე მესახება მალი-

ღვის აქ ბინას. ამჟამად თეატრის
თვის სათანადოდ მოწყობილი შე-
ნობა აქეთ იქვე მდებარე სოფელ
განთაღში.

— ბატონო ჯუმბერ, ყველაფერი
ეს ხომ არ შევიშლით ხელს სამე-
ცნიერო მოღვაწეობაში?
— განა ვივცე ჩემი საქმე არ არ-
ის?

— და მაინც რას გვეტყვით
თქვენი ძირითად საქმიანობაზე?

— ბევრი რამის თქმა შეიძლება,
მაგრამ ვითვალისწინებ ზო პერ-
ნალის მოცულობის, შევცდებო-
მოკლედ ვიასხუთ: ჩვენი ექვე-
დიციის მუშაობის შედეგებმა დმა-
ნისის მიმდ. მსოფლიოში გაუქმე-
სახელი, განსაკუთრებით განზა-
რდა 1983 წლის აღმონჩა. დმა-
ნისის ნაქალაქარის ტერიტორია-
ზე ნაპოვნი იქნა უძველესი ადამი-
ანის სადგომი, ხოლო 1991
წელს ადამიანის ნაშთი, დადგინდა,
რომ დამანისში ნაპოვნი ადამიანის
კბა უძველესია მიოლს ევროპასა
და აზიაში. ამდენად იგი მსოფლიო
მნიშვნელობის აღმონჩადა ითე-
ლება. 1992 წლიდან მოყოლებული
ჩვენთან ერთად ინტენსიურად მუ-
შაობენ გერმანელი არქეოლოგები.
დროდადრო გვიერთდებიან იაპო-
ნელები და ფრანგები. ჩვენი კვლე-
ვის შედეგებზე გამოქვეყნდა რამ-
დენიმე წიგნი ქართულ, რუსულ,
გერმანულ ენებზე: ამ მოკლე ხან-
ში გამოუჩა ჩემი წიგნი სახელწო-
ვებით: „დამანისის ციხე“, სადაც
ერთკლად არის წარმოდგენილი ამ
რევიონის წარსული და, კერძოდ,
ნაქალაქარის შიდა ციხის გათხ-
რების შედეგები. საგულისხმობა,
რომ დამანისის არქეოლოგიურ ექ-
სპედიციამ მონაწილეობა ადგი-
ლობრივ მცხოვრებლებთან ერთად
სტუდენტობაც. 1995 წელს მოხდა
რევიონის სტოვრებაში მნიშვნე-
ლოვანი ფაქტი: ზემოთ აღნიშნუ-
ლი თეატრის შექმნასთან ერთად
საქართველოს მეცნიერებათა აკა-
დემიის 14 ნიუმბრის დადგენილე-
ბით, დამანისის რევიონში მომუშა-
ვე არქეოლოგიურ ბაზაზე შეიქმნა
დამანისის ისტორიულ-არქეოლო-
გიური განყოფილება, რომელსაც
სამუშეოში ფუნქციაც დაეკისრა.
პრეზიდენტის სხდომაზე აღინიშნა,
რომ ამით საფუძველი ჩაეყარა
მთელი ქვემო ქართლის სამეცნი-
ერო ცენტრის (ცენტრის ხელმძღვ-
ნელი ე. ჯოპალიანი). დამანის-
ში უკვე სასუფეველი ჩაეყარა ამ ცენ-
ტრის შენებაში. განზრახული გვაქვს
1997 წლისათვის დამანისში ჩაე-
ტაროს საერთაშორისო-სამეცნი-
ერო კონფერენცია, რომელშიც წი-

ქარისჯივლა

რკინაში, რომელიც მაშინ მწერ-
ალითა კავშირის მდივანი იყო. იგი
ბაგაკურად დაკვიდდა გვერდში:
ერთ-ერთ თქვენს რიგით ჯარის-
კაცად მიმსახურეთო! — ბრძანა
მაშინ ბატონმა ჯანსუღმა.

დამანისში არ არსებობდა არც
ერთი ქართული ბაგა-ბალი, არც
ერთი ქართული სკოლა-დაწყები-
ითი კი. დღეს დამანისში ორი ქარ-
თული საშუალო სკოლაა. მასხობის,
პირველი ქართული სკოლა რომ
გაიხსნა და დაეინახე ზარის წერი-
ლზე, დედა ენით ხელში სკოლის-
კენ მიმავალი ბავშვები, თვალზე
ცრემლი მომადგა.

სტიქიური უბედურების შემ-
დეგ აქ დიდი რაოდენობით ჩამო-
სახლდა სენი და აჭაროლი. მათ
ჩამოსახლებას დაეთხევა იმ დრო-
ისთვის საქართველოში მიმდინარე
პროცესები, რამაც ერთგვარად და-
მაბა ჩამოსახლებულ და დაგვიმო-
ჩრე მკვიდრთა ურთიერთობა. მაგ-
რამ დროთა განმავლობაში ყველა-
ფერი მოგარდა და ამჟამად მო-
სულენი და დამხედურნიც ხელი-
ხელმკიდებულნი ერთად იღვწიან
დამანისის ასალორინებლად.

მთუხვადავა იმისა, რომ ამ მხა-
რეში მე ძირითად სამეცნიერო
მუშაობას ეწვევი, როგორც დამანი-
სის არქეოლოგიური ექსპედიცი-
ის ხელმძღვანელი, არ შემეძლია
ჩემი წვლილი არ გაემდო კულტუ-

ან დიდი პერსპექტივით, რადგან
ეს მარტო თეატრი კი არაა, ეს იქ-
ნება ადგილი ოფესლაც აქ არსე-
ბული ძირძველი, დიდი ქართული
კულტურის აღორბინებისა.

— პირადად თქვენთვის რას ნიშ-
ნავს ამ მოღვაწეობა?

— ჩემთვის პირადად ეს არის
დიდი სულიერი კმაყოფილება. ჩემს
მისიას ვხედავ იმაში, რომ ჩემი
სულიერი და ზნეობრივი მრწამსი,
ჩემი კრედი, როგორც ხელოვანი-
სა, გადავიცე ამ ახლადშექმნილი
თეატრის ახალგაზრდებს, იმ თა-
ლისა, ვინც პირველად იდაგას ფეხს
თეატრში როგორც ხელოვანი, რო-
გორც პიროვნება, როგორც მო-
ქალაქე.

ქალბატონ ზინასთან მოკლე გა-
საუბრების შემდეგ განავარგებ დი-
ალოგი ბატონ ჯუმბერთან:

— დამანისის დათვალიერების
დროს, განვაცვიფრა თეატრის შე-
ნობის სიდიდემაც, რომელიც დამ-
თავრების სტადიაში ყოფილა, მაგ-
რამ ყველაფერის ცნობილი მოვლე-
ნების გამო ახლა მთლიანად გაა-
რტახებული ჩანს.

დაის, თეატრის ეს შენობა
მშენებლობის დამთავრების შემდეგ
მართლაც კულტურის ერთ-ერთ
მძღვარ კერად იქცევა მიოლს ქვე-
მო ქართლში. თეატრთან უკვე და-
არსდა ფოლკლორული ანსამბლი.
მალე თიოჯინების თეატრც დაი-



ნასწარი მონაცემებით მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა ქვეყნის 30-მდე მეცნიერი.

— ბატონო ჯუმბერ, რატომ განებუთ თავი პოლიტიკურ მოღვაწეობას?

— სხვებმაც მკითხეს ამაზე არაერთხელ: ვთქვით, რატომ არ მივიღე მონაწილეობა წინა არჩევნებში და თუნდაც ახლანდელში, რატომ ჩამოვშორდი ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას და ა. შ. მე ვეფიქრობ, ჩემი ამგვარი საქმიანობით უფრო მეტ საზოგადოებას მოვუჭირებ ჩემს ქვეყანას, ვიდრე პარლამენტში მოღვაწეობით. ყველა ის, ვინც თავის საქმეს კეთილსინდისიერად ასრულებს, ჩემი აზრით, თავისთავად პოლიტიკური მოღვაწევაა. რაც შეეხება ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას, თქვენ, ასე ვთქვათ, როგორც ამ საზოგადოების ძველ გვარდიელს და მის ერთ-ერთ დამაარსებელს, მივგხსენებთ, რომ ჩვენ წინააღმდეგი ვიყავით ეს საზოგადოება ვიწრო (რამდენიმე კაცისგან შემდგარი) პარტიად გადაქცეულიყო და ამასთან ერთად ზნეობაზე წინ დაეყენებინა პოლიტიკა, ეს ფაქტობრივად გადახვევაა დიდი ილიას და ზურაბ ჭავჭავაძის გზიდან. საერთოდ კი ჩვენი ერთგული მობრძანების ისტორია დასაწერია და ყველაფერი ობიექტურად შესაფასებელი.

...დაბ, ვინც თავის საქმეს ასრულებს კეთილსინდისიერად, ის თავისთავად პოლიტიკური მოღვაწევაა. ამასვე ვფიქრობდი, როცა სოხუმის თეატრის მსახიობებს და მათ მთავარ რეჟისორს დიმიტრი ჯაიანს უეფურებდი დიანისში, კლუბის დარბაზიდან. სცენაზე იყვნენ ის აღმანიები, რომლებიც მრავალს სულიერი ტკივილის, თავსატეხილი ჭირის მიუხედავად, კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ საქმეს.

დამა ჯაიანის მგზნებარე სიტყვამ მოგაოხრა 1989 წლის 2 აპრილს, როცა იგი ვალში პირველად ჩატარებულ ხალხმრავალ მიტინგზე, სოხუმიდან სპეციალურად ჩამოხველი, სიტყვით გამოვიდა ლიანხის წყრილის გამო. მაშინაც და ახლაც დამა მართალ საქმეს ექსახურებოდა საოცარი თავგამოღებით, ერთგულად და უანგაროდ: ესაა ქართული, ერთგული საქმე, ქართული სიტყვა, ქართული თეატრი...

1973 წლიდან, თბილისის თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, დიმიტრი ჯაიანი ბოლომდე, 1992 წლამდე, მოღვაწეობდა სოხუმის თეატრში.

1978 წელს აფსუთა ცნობილი გამოსვლების შემდეგ, რასაც მოჰყვა ქართული თეატრის შენობიდან ქართველი მსახიობების გამოძევება, ბრძოლა ქართული თეატრის ანუ ქართული სულის შესანარჩუნებლად, — ვითომცდა გარეგნული, მიჩვენებითი სიმშვიდის მიუხედავად, — უფრო მძაფრ, მწკვივე სტადიაში გადავიდა.

ბრძოლის ამ პერიპეტებიებს ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, შეხვებთან ერთად, დამა ჯაიანი გახლდათ.

1982—1985 წლები. მაშინ მე აღმანახ „რიწაში“ ვმუშაობდი და მასსვს, რა მიმივე ვითარებაში უხვდებოდათ მოღვაწეობა თეატრის მსახიობებს და მათ მაშინდელ ხელმძღვანელს გოგი ქავთარაძეს. მიუხედავად იმისა, რომ თეატრის შეგნებულად გასაქანს არ აძლევდნენ, მაინც იქმნებოდა ბრწყინვალე სპექტაკლები. ქართული თეატრი არა მარტო სოხუმელის, არამედ მიოელი აფხაზეთის ქართული მოსახლეობის მიერ ქართული სულის მატარებელ თითქმის ერთადერთ კერად აღიქმებოდა.

უმძიმეს 1992 წელს ჩაუდგა დამა ჯაიანი თეატრს სათავეში. პათოლოგიური სიძულვილი აფსუა სეპარატისტთა ყოველივე ქართულის მიმართ, რაც აიოული წლები განსჯილობაში ინერგებოდა იმპერიული ძალების მიერ — ვაღმოიღვარა აშკარა, დაუფარავ მტრობაში. და ის გაუგონარი ბარბაროსობა და ვანდალიზმი, რაც გამოიჩინა აფსუთა ერთმა ნაწილმა ქართველებს მიმართ — ნაყოფი გახლდათ სწორედ ამ ვერაგული იმპერიული პოლიტიკისა.

ბარიკადების იქეთა მხარეს აღმონდნენ ისინიც, ასეა თუ ისე თქონს ნორმალურ ურთიერთობას და პოზიციას რომ ინარჩუნებდნენ ქართველებთან. ეს უფრო მწვლად ასათვლი შეიქნა, ვიდრე დაუფარავი მტრობა და სიძულვილი, კიდევ უფრო აუტანელი იყო „სოციერთი თანამოძმის საქმიანობა, სეპარატისტთა წისქვილზე რომ ასხამდა წყალს და ზურგში მაზვიდს სცემდა ქართველობას.

დამას ერთადერთი ვაჟი, 24 წლის ჯაბა, როცა მშობლიურ ქალაქს საფრთხე შეექმნა, უყოფმა-ნოდ ჩაღდა ჯარისკაცთა რიგებში. სოხუმის თეატრის ევგენა მსახიობსა იარაღი აიღო ზღუდ. ქვეყნისა და ერის ინტერესებმა მიიხილვა თითოეული მათგანის თავგანწირვა და მართლაც, არაერთი შეეწირა კიდევ ამ წილდამაწმინ-

და საქმეს: მამა-შვილი მამაკაცსა და ომარ ელარდშვილები — მსახიობ ლორენა პაპუაშვილის ვაჟი და მუღლუ, ვასილ ჩხეიძე, ზურაბ ვიბოლანი, ვოვა ყიფიანი — სახალხო არტისტის ნირა ყიფიანის შვილი, თემურ ყვანიანი, კახა წერეთლიანი — მსახიობ ნუგზარ წერეთლიანის ვაჟი, სლავა ბოჭორიშვილი, ანტონ ვეჟუა, ლევან გოგულა... ზოგ მათგანს ძირი და ფეხიც არ დარჩენილა.

ყველა გვახსოვს დიძას ინტერვიუ ტელევიზიის კორესპონდენტთან ჭუბერის უელტეხილზე, მაშინვე გოგოლის გზად რომ მოინათლა. შემზარავი ტრაგედიით დაზარული და მაინც გატეხილი კაცის სიტყვები იყო ისინი... ამ გატეხილი ბუნების გამოვლენა ვახლავთ ისიც, რომ სოხუმის თეატრი განავრდობს არსებობას და უკვე რუსთაველის თეატრის შენობაში სოხუმელებმა არამცოვადღაინეს ძველი სპექტაკლები: „დღისტაბის მარჯვენა“, „ფსკერზე“ და „მარტოობის დღესასწაულს“, არამედ შეიქმნა ახალიც: „დარისანის გასაჭირი“ და „ლევინდა ორღიანელ ქალწულზე“.

სწორედ დამა ჯაიანს უძღვნა სოქუტა ვანსულ ჩარუკიანმა ლექსი: „მაინც დაებრუნებით“, რომელიც მსახიობისათვის და არა მარტო მისთვის, უსაკრარლს ლექსად იქცა. ეს ლექსი წაიკითხა დამა დიანისშიც, დამნიყოლებთან შეხვედრის დროსაც და როგორც ყოველთვის, ამ ლექსმა ოპტიმის ტურტი განწყობილება შექმნა როგორც მაყურებელთა, ისე მსახიობთა სისხლსაც: „იქნებ ბროლოთ, იქნებ სონსლით, მაგრამ მაინც დაებრუნებით“.

დამა ჯაიანმა მომავალი წლის შემოდგომისათვის მიიპატუა დამანიელები სოხუმში. ღმერთმა ქანს და მართლაც ძალე დაბრუნებოდნენ თავიანთ მშობლიურ კუთხის მსახიობები და მთელი დღეწინა ქართული მოსახლეობა, დაბრუნებოდნენ თავიანთ ძირძველ მიწას, ოდიოტანვე განუყოფელი ნაწილი რომ იყო საზოგადოებისა, მისი ჩრდილო-დასავლეთის კარიბჭეს რომ წარმოადგენდა ოდიოტანვე და სადაც არასიძღეს გამქარადა ქართული სიტყვა, ქართული სული: „ფრთხობს დამსხრეულს ისევე გავსლით ძველ ბუდეში ჩაბუდდებით, იქნებ სხვიც ჩაქრეს თვალში, მაგრამ მაინც დაებრუნდებით“.



სიყვარული

— ცეცხლს გარეთ ცეცხლს, ცეცხლს შიგნითაც, ღმერთო ჩემო, რით არ გათავდა ეს ზამთარი? უკვე აყვავდა ნუში, მიანც არ დათბა. არა სინათლე, არა წყალი, არა გათბობა, სიცოცხლე ძვალ-რბილში ატანს. რედაქტორის მოსაცდელ ოთახში შეუყუყუტან თანამშრომლები.

— ამ სიცოცხლეში მუშაობა შეუძლებელია. თითები გამყინდა — ხელიდან ვეგვლებ კალსს.

— აქვე მოვიდა შუქი? ჩაერთოთ ღუმელი! — იმედი აქვს ქალბატონ ციკალს.

— შენც არ მომიკვლ!

— სამი დღეა, შუქი არა გვაქვს, არც წყალი. შებინდებდა და ოთახებში ბრტყილები დადებოდა, არადა დანაწერი მაქვს გოგი დოლიძის გამოსათხოვარი. — წუხს ქალბატონი ნუნუ.

— გეკლებს კიდევ რა ვიჭმე? დროდარო მაინც სარგებლობთ შუქით, დიღმელები ვეჭამებით: ინთება, ქრება, ინთება, ქრება, მაჟ! — ამბობს ქვემო.

— ჩვენთანაც ასე არ არის? შუქი მოცილებს შუქი მოიღვამ! — მესმის გეგონების ერთმანეთში გადახახილ-გაგონიანობა. წამოეფრინებოდა სკამიდან და სსს-წარფოდ ვადგამ ჩაიდანს ქურბაზე.

— არიქა, წყალი — თავი მაქვს დასაბანში. პირი უნდა გავიბარხო, — დღავა-ცურებებიან მამაკაცები.

შენ კი, ოჯახის დისასტროფა, აღარ იცი, სიიდან დაიწყეთ: დასარეცხ პურ-პეკლს მიადგე, სიდილი მოამზადო თუ... რომ სწორედ ამ დროს ბაბ! სინათლეს მაიცივარო. ეს იმის ნიშანია, რომ ახლები წავიდა. სინათლე წავიდა და მიჰყვა წყალიც. დავრჩით ნახევრად პირდაუბანლები, წვერგაუპარსავეები, მშობრები.

— თქვენ ხანდახან მაინც ჩაივრკავთ თვალს სინათლე. ვახსუნებანი უნდა ნახოთ ღამით. წყველიადა, ღღენილადა უკუნი დაბე. წელიწადია, სინათლის სხივი არ უნახავთ იქაურებს. — გვემშვიდებს ია.

— თქვენც ერთი, ვითომ ახალი თქვით რამე, — ერთი ახლა ქაფქაფა ყავა დამალევიან. — ნატრობს „პატარა“ ნუნუ.

— მე უშუალო ჩაივრებაც ყავულსა ვარ, ცოტათი მაინც ვაგებებდა, — ციკო გაუთიულ ცხვირ-პირს შარფში მალავს.

— უშუალო არა და შეატარე ჩასი ეთერის ხაჭაპურით სიამოვნებით მივირომედი. მაინც რა ხაჭაპურები იციან მგერებლებმა? — გამოთქვამს ჩემს აღტაცებას.

— რაზე ლაპარაკი! — მიდისტურებს ქალბატონი ეთერი.

— შე კი დედაჩემის გამომცხვარი ხაჭაპური მესიზმრება! იმერლებს ხაჭაპური ნაკლებია თუ? — იცეხნის „პატარა“ ნუნუ.

რა დამავიწყებს გურულების ხაჭაპურს, მასარამეში მამა სიმეჭლდის ოჯახში — ვიხსენებ მე. ვგეოთი ხომ დიდებულაა, ახლა ფორმას არ იცითხავთ? მრავალი, მუსავითი გადიდებული. დი-რასავით ევბრა ხელში ცილა შეჭირულს და ისე შემოჰქონდა სუფრაზე.

— ხალხო, ლაღიძის წყალსა და ხაჭაპურებს კი უნარს იტყოლით?! — მამახის ვიღაცა.

— ყინტრი წყალი ამ სიცოცხლეში? მაგი არადა თითო ჭიქა არაკი ნამდივლად მოგენათლავდა. ცეცხლოვით რომ დაგვივლის ტანში და სისხლს ავიღებდეს. დამიჯერეთ აგი ჭობია ყველას. — გვარწმუნებს ბატონი მამუკა.

— ეე, მაგი სწორი თქვა ახლა. — უდასტურებს მამუკას ბატონი ვასო. შემოსასცელი კარი ფრიხილად, ცოტ-ცოტად, მოპარვით იღება.

— შეიძლება — ისმის გარედან საოცრად ნაცნობი ხმა.

— მობრძანდით!

— შეიძლება? — მეორდება კითხვა ღმ მოსაცდელში ხათუნა შემოღობს.

— ოოო, ხათუნას ვახლოვართ, რა გეჩქარებოდა, ქალბატონო? ჭერ არ დღავამებულა — ეწწწლავს ია ქალბატონი.

კარან მონაფესკით აწურული ხათუნა თავს იმართლებს.

— ჩემს დას, თამილას ვახლი ებილის ექიმთან და...

ხათუნა ჩვენი ხათუნა ჩვენი რედაქციის მშენებმა! ჩვენს შორის ყველაზე ნორჩი, ზრდილი, თავბაზანი ქალიშვილი. დი-ნაჩი, ნახა, აუღლევებელი, ზომიერი სიტყვა-პასუხში, ჩამა-დახატრავში. დღის სსოგენს უსუსვგრო პატვისმცემელი, მამაზე მზრუნველი, ფავადადებული დის-მავს, დისწულსწონისთვის...

... დღერაინი ზვიგ თვლები აქვს, მოხდენილი ტან-ფეხი. ეშხს მატებს წვირლ-წვირილი ხალები სახეზე. არა, ის სილამაზის ქალმერთი არ არის, მაგრამ მისი მოაქადაოებელი კლემენტინილმა და სააზრო ღიმილი თვითონ აფროდიტისა ციკლის, გაუდის.

ხათუნას გულისწორი არა ჰყავს. თავის ბევრს უნთებს ცეცხლს გულში — თავყენისმცემლები ფურცლებითი ახ-ვევია. მალდობა ღმერთს, ქართველი ბი-ჭები მთლად არ გადავარებულან, ხედავენ ამ უდაშვილის ღირსებებს და უღლის გამწვევად ესახებათ, მაგრამ ხათუნა მისთვის დამახასიათებელი წინდაბედლობით არ ჩქარობს.

— წუხელთ თამილა კილმა შეაწუხა. მთელი ღამე გათათენეთ. არც ბავშვებს ეძინათ. წუხდა დედა და ბოლოდენს ისინიც. ინათა თუ არა, ექიმთან წასასვლელად გავმეზღუნეთ. ბავშვები უნარს და-გვედვენენ. შინ არ დარჩნენ.

კარს ისევე აწვავლებს ვიღაც: ჩურჩუ-ლია, ფსავენი.

— ხათუნა, არ გადამირო ახლა, ბავშვები გარეთ დატოვე, გაგიფიდი, გოგო? — ტუქსავს ხათუნას ქალბატონი ციკლა.

— ხათუნა უხერხულად იმშუშნება.

— ხელს არ შეგიშლით? — კითხვობს ნინოწამხდარი და კარს შორდება.

რედაქტორის მოსაცდელში კისრბტე-რულ შემიტვირდნენ ბავშვები. ბავშვები კი არა და მარგალიტები, „ჰვარკვლიტები“, თვალბებრილა გოგო-ბიჭები.

— ვაჟა! — ხათუნას ბავა-ბალი მო-



ვიდა! — უტა, ხატია, მია, ლაზარე, ივანე — ოვაციონ შეეგებნენ პატარებს ჩვენი ქალბატონები და ბატონები.
— ნაბოლარა? — ნაბოლარა სიღლი?
— მოიანი. — მოციგვასაგონად ამბობს ხათუნა.

და აი, ნაბოლარა — ქრისტინე. ცხრა თვის ქრისტინე, ცოცხალი თოჯინა, შთაფრე, ვარსკვლავი, მუსისათვის გვიციონის და სხვის ჰყვნს აქაურობას.
— შუქი, შუქი მოვიდა! — აღომობდა მე, — შუქი მოვიდა! — მომხბობს იალაოთს მია. დენი ჩარხის. რიდიმზე ანთია. გაეც განათდა. ვახსიუბანი აკაჟკაჟდა. ქრისტინე — შუქი, ქრისტინე სიცოცხლე. ხელის იმედი, — თავს ევლებიან პატარას ჩვენი ქალბატონები.

თამილას, ბავშვების დედას, ახლა ევლარ იცნობს — როგორ დამშვენებულა ეს გოგო ყოველი ბავშვის გაჩენაზე ფერს იცვლის, ხორცს ისხამს, აშვარადაც გაეცთებულა, უფრო გაღამაზებულა. დღმართს ექვსი შვილის დედისათვის შარავანდლი დაუდგამს თავზე.

მას ისევე სტყვიდა კბილი, ჭკარც არ გაუყურებია, მარჯვენა ხელში ქრისტინე ჰყავს ატეპებული, მარცხენა ლოყაზე აუფრთხიბია.

— ძალან გეტყვინა? არ მოთხარა ახლა, გმირი დედა, კბილის ტყვილი შშობი-არობაზე მწარეაო. მომეცი აქ ანეკდანტი! — ზმანაზებლობს ია ქალბატონი.

— არ მოვა. ჭერ ჩემიანაც არ მოიღის, — ამბობს ხათუნა, — ვერ მოვა-შორე დედას, თამილას კბილს რომ უბურღავდნენ, კალთაში ეჯდა, შემოწინებულა.

— შეწინებული არა, ისა ამდენი ჭკუა ვინ მისცა ცხრა თვის ბაღანს? მომეცი-მეთქი! — ია ხელიდან სტაცებს თამილას ბავშვს. მერე პაერში ისვრის და მღერის: ქრისტინე, ქრისტინე, ჩემთან შემოირბინე!

ქრისტინე კისკისებს.

— შუქი, შუქი მოვიდა, ქრისტინე შუქი, ქრისტინე სიცოცხლე, ქრისტინე ხვალის იმედი! — გაიძახიან მასპინძლები და ქრისტინეს ვარშობი ტრიალებენ.

ქუჩაში გახვეული ჩვენი რედაქტორი აქამდე თავის კაბინეტში რომ იჯდა და კარბოლო თითებიან ჭულბად კრებდა და ერთვდა ტრულფონის ნომრებს (ასეა ყოველდღე: ვილიასს ჩაერავენ, ქომაგი სჭირდება და მან უნდა უშველოს. მაგრამ ახლა თავისი გასჭირებვია. „დროშას“ არა აქვს სტამბა, ქვილიდიც არ ეყოფება. არც ფორკორესპონდენტე ჰყავს. ამას ყველაფერს თანხა სჭირდება. დღეს უმზავლესობა გაპირებულა. ვის მიმართოს? ვისმეს დაიხსნისო. ეტყეს, და ეტყეს). გაბრტე გამოვიდგი, ამდენი ბავშვის დანახვამ სახე გაუნათა.

— მეც არ ვთქვი, რა მოიყვანა ხასიათზე ჩვენი ხალხი-მეთქი? ეს რა ძვირღასი სტუბრები გწვევია! — ხათუნას

ბაღი“. ბავშვების დედაც აქ არის, „გმირი დედა“ და ბაღის გამგეც... ჩიომულა და პატარებს თავისკენ მოზიბს: უტა! ივანე! ხატია, ლაზარე, მია! — მოიდი ჩემთან.

„ხათუნას ბაღი“ რედაქციის ხშირი სტუმარია — ისინი ჩვენი შვილობილები არიან. ბავშვები იცნობენ „დროშას“, რედაქტორს. იციან მისი ლეჟენბი. მღერიან ყოველ პეტრის ლეჟენბზე დაწერილ სიმღერებს. იმასაც ხვდებიან, რისთვის უხმობს მათ ახლა...

— ივანე, გინდა, ბიჭო, საღებო რეზინა? შენ? შენ? შენ? — ეკითხება სათითაოდ ყველა.

„ხათუნას ბავშვები“ თანხმობის ნიშნად თავს აკანტურებენ.

— ბიჭოს, არც ერთი არ არის უარხე. უტა, აპა, შენ და როგორც ყველაზე უფროსი, ჩადი ქვეითი და უმასპინძლე უნს და-ძებნეს.

უტას ხელისგულზე უყრია „თეთრი“. მღერისდები დასცქერის და თან აღმზრდელი უფალაფავებს ქვეშ-ქვეშ.

ხათუნას ამ დროს სახეზე აღმუერი ასლის.

— რატომ შეუწხდილი — აღულულდეს იგი.

— რაღას უღვებარ, გავარდი, ბიჭო, და იგივე საღებო რეზინები! — აგულანებენ ჩვენი.

უტა ადგილდნარ არ იძვირს, ვერცხობა, ხათუნას ნიშნს ელოდება. თუ გაუღობა „ბაღის გამგეც“, ეს იმის მუქუჭებელია, რომ დასაშვებია ამის გაკეთება.

ხათუნას მაღლირებიანი სახეზე სახე უბრწყინავს და უტაც ათქვემოფოლქვიც კრისკისებს.

— ეს კი ქრისტინეს ქრისტინე პირველადაა „ჩვენი ოჯახში“. მისთვის კვერცხი და ვერცხლი უნდა მივცეთვინა, მაგრამ რადან ჩვენში დღეს კვერცხი ძვირია ვერცხლები, მერმისისთვის იყოს. აპა, ლაშაში! ეს მცირედი შენ, ჩემი პონორარიანდა.

ქრისტინეს ქურთუკის პატარა გიბეში უჭებინის ტაკიანა ქალაღის და როგორც ბანივებს, ისე ტამბორება ზღლები.

— არ გინდა, ამ გაპირებვის ქაშამ ახელა ოჯახი დააბურო, ახალგაზრდა მწერლის ვახტანგ კომახიძის, თვით ერთი მოიხიბრობის პონორარი გასწვდება მის შვილებს?

და მინც მავის სიმღერე შემუშრდელიდა როკველერს — ხუთი ვიერშვილის მამას.

— ადგილსამყოფელი გამოვიცვლიათ, არა? — ეკითხება ბატონი ჩანსული თამილას.

— დიას! ანანოთუბანში დავმკვიდრილით, გორაკისლის ქუჩაზე, № 21 ორო-თიხანს ბინას.

— ეიწრდ იქნებოთ.

— არა, არა გეჟეს მავის პრობლემა.

ოთახებში მარტო საწოლები გვედგას, წინაგნი თორბოზე გვეწყვია.

— რასაკვირველია, ექვსთიხანი ბინა აჯობებდა თქვენთვის, მაგრამ ვის გინდა გაავებინო? ჩემი ნება რომ იყოს, ამ საბავშვო ბაღს — რაღს ვარქებდლი, ბევრია მრავალშვილიანი დედა თქვენს უბანში? ალბათ, იგიზღები სჭარბობენ.

— იგიზღები, ქართველები, სომეხები, რუსები... ჭკელი ხალხი ცხოვრობს უბანში ყველას უყვარს ჩვენი ბავშვები.

— კოლქვი, მუსიკა, სპორტი... ბავშვების ამდენ მოყვანაშივყვანას ბატონი ართმევე თავს? — უტყვის რაგონ ჩანსულს.

— ეს ყველაფერი ხათუნას აქისრია. ხათუნა რომ არა, ძალანა გაგვიპირებოდა. ამერე ვახტანგის ხომ მემხანებდა. — მემხანს თამილა.

— ამით არავინ არა სჭირდებათ, — ექომავება დისწულებს ხათუნა, — მე-კადინი ბავშვები არიან. არაფრით არ გაწუხებენ. ერამანთში არ კინცლოიბენ. დღღას იგიზ ეხმარებიან. დღებში უცვლიან პატარებს, აბანაწებენ, აქმევენ, ახელებენ, ამეცადინებენ.

რედაქტორი ლაზარეს ლოყაზე მიეფრია, — ყოჩაღ, ლაზარე! მერე თამილას მიუბრუნდა, — ეს ბავშვები ჩვენთან ცხოვრობენ თუ შტატებში? მინც რას აუბნეოთ ამ გოგებს, ასე რომ დაღისუქებიან?

— ყველაფერს, რითაც ღმერთი შეგვეწყვიდა. ღმერთი კი ძალიან გეწუხალობს. ყოველ ფეხის ნახევარს წაფრსხებდა, მე-გობრები, ნანცნობები... წათხილიდენით, სრულიად უცხოებით კი გვეშვილიან... ასე, რომ... ამ ზამთარს ლაზარეგ ხელი მოიტეხა. მოსკოვის ქუჩაზე, მესულთ საავადმყოფოში მივიყვანეთ. ის საავადმყოფო ფასილია. აქ მულავათები რაისები არ ვერცხობენ, ტრამფტოლოგმა ვახტანგ ნიკოლიაშვილმა ლაზარე დღებდა საავადმყოფოში და თავად გადაიხანა მკურნალობის საფასური. ხელეც სულ მაღლ მოუტრჩინა.

— აშენოს ღმერთმა, კაცი ყოფილი! — თქვა ბატონმა ჩანსულმა.

— ქალბატონ გულნარას წყალითი შარშაწინ თიანეთში ისვენებდნენ ბავშვები. იქურბის პაერმა და წყალმა ისე გააყავა ისინი, რომ ბოლო ორო ზამთარი თითოეც კი არ წამოსტყვიებოთ.

— წყალს ჩვენი ოჯახი ქრისტინეს უთმობს თავის ავარაკს. ქრისტინეს ხომ ჭერ არ დაუსცხია თიანეთში. — ვუთხარი მე.

— ოღმერთ ჩემო! — აღმოხდა ხათუნას, — რა ბედი აქვს ჩემს სიძეს — ზოფტლის თავსატეხიცო წინასწარი მოუგვარე!

— ვახტანგს კი არა, ბავშვებს. ბავშვებს წყალთი ღმერთი! — თამილამ პირველი დაღაიწერა და ვანავართ, — უნდა ნახოთ, რა პატემში ვართ ქუჩაში, ხალხში, საზოგადოებაში. განსაკუთრებ-

ბი მამინე, თუ ექვსიტვი თან მახლას. ამს წინან მგ და ხაოუნენ გათავეყუთი ბავშვები, გავაშქრივეთ და ფილარმონი-ში პატარ-ბუბუს კონცერტზე წაიყვან-ენი. მამინე ქრისტინეზე ეფხმძიმე ვახლ-დით. ის იყო, დადევქით სალაროსთან ბოლოების ასახუნად, რომ ხანშიშესულ-ლი კაცი მომზახლოვდა დღილით და ბოლოები გათაშიწოდა. ის, ასევე: ყველგან, ყველ ნაიჭიზე ვგვრანობ ადამიანების ურადილებას და გულსხმებერებას. ერთბა, მივიღივართ ქუჩაში და ერთ-ერთი ხელში მიჭირავს, ამ დროს მეწვევა უტნობა და თავის სამსახურის მთავარობს.

— ამასწინათ ასეთი ფაქტის მოწმე მეც ვახლდით, — ჩავერთე საუბარში, — ოპერის თეატრთან შეეხვედი თამილს. მარტო არ იყო, მასთან იდგა თამაშე-ვერცხილი ქალი, რომელსაც ქრისტინე ვერბა ხელში. მე ქრისტინესკენ გავიწიე და მივეყვრე.

— მოდი, მოდი, ჩემთან, პატარაე!
— ვერა, ვერ დადივობო, ქალბატონო! მსურს, მცირე სასმასხრო გავუწიო ამ ახალგაზრდა ქალს. ქრისტინე ხელი-დან ხელში გადაიყვანა, გულში ჩაიკრა, თამილს დაინახვა და უხებრა:

— აი, შვილო, ბავშვი ასე უნდა დაი-ჭირო ხელში!

თამილს გაეღიმა.

— საითყენ გავიწევი? დანარჩენები სიდა გვეყანან? — ვეითხე თამილს.

— შინსიყენ. კონსულტაკიში მყავდა ქრისტინე. უტა, მია და ხატიო კოლეჯ-შია. ლხარე და ივანე მეორე იდღას ჰყავს დატოველთ შინ. უტროსები სკოლიდან წამოსაყვანია. ხათუნა მერე სამსახურშია მისასველი. აგვიანდება. კონსულტაკიში დაეყოვნდი, ხათუნა კი, აღბო, დღესაც. ავტობუსსე არ მოჩანს...

— ეს კავანდარა ქალი ვინ არის?

— მგზავარია. — მიიხრა თამილამ, — ისიც ავტობუსის ელოდება. დიდი ხანია, ვიცილი. შემიცოდა. ბავშვი გამომარ-თვა — მოგეშველებო, ურარი ვერ ვუთხ-არი, არადა, მუშინია, ხელიდან არ გაუ-ყარდეს.

ქალს მივებრუნდი და რილით მიე-ბარეთ:

— დაიღებოდით, ქალბატონო, ახლა მე მოვექით, მძიმეა ეს მაიმუნი!

— მძიმეო? ჩემთვის არა, სრულეობი-თაც არა ჩემთვის ამაზე მსუბუქე ტვი-რითი არ არსებობს. შეიდი შვილი ისე ვაგზარდე, დამხმარე არავინ მყოლია, მაგრამ ერთხელაც არ დამიყენებია... შვიდი ვეიშვილისა და თორმეტი შვი-ლიშვილის პატრონი ვარ. მაგრამ რად ვინდა? ყველანი საშოვარზე გამეფანტე-ნენ ერთი რუსეთშია, მერე თურქე-თში, მესამე რუსეთში... მოკლედ, ვინ სად და ვინ სიდა. უმცროსილა დამარჩა-ნენ და ისიც ცოლს გაეყარა. ჰოდა, ამ

ჩემში რაძალბა თვის დღემდამის მიამურბა და ბავშვიც თან წაიყვანა — ამა, მე სომ არ დამიტოვებდა. ოთხი წლის გოგო, მერე რა გოგო, ნამდვილი ანგელოზი, ბიბა ენაცვალი! ამ ბავშვმა წაიღო ჩვე-ნი დარჩენილი სიცოცხლე. მისზე დარ-დმა დაგებერა და დგავაიავა. ცარიე-ლია ჩვენი ორსართულიანი სახლი, ამა, რად გინდა ცარიელი? თუვინდ სასალე იყოს. თუ აქ ბავშვი არ დარჩება. ბავშ-ვის კისკისი ამ სასახლის ქერს თუ არ სწვდება?!

— შენ ხომ გყავს კიდევ შვილი? — შეეკითხა იგი თამილს.

— ეს, და კიდევ ხუთი!

— ესე იგი, ექვსი. რამდენი წლისა ხარ, შვილო?

— ოცდაცხრის.

— ოცდაცხრის?! ბარაქალა, კუნწუ-ლავი! — მე კი ბავშვის აღჭერას ვასწავ-ლიდი.

— უნდაბუსი ჩვენს წინ ვაჩერდა. თამი-ლამ ეტნობა ქალს ქრისტინე ვაოართვა.

— გმადლობთ, ქალბატონო!

— მე ვარ მადლობელი, შვი-ლიო! როგორ გამათობო, ასე მეგონა, ჩემი გოგო მეჭირა ხელში. ეს სითბო მთელ თვეს გამეყვება... მოდი აქ, ყურში რაღაც უნდა გიჩურჩულო. — უთხრა თამილს და ტუჩი უერთან მიუტანა.

— მეშვიდეს არ გააჩენ, შვილო?

— თუ ღმერთი ინებებს, მეთაესაც!

— აფერუმ ქალო, ქვეყნის ერთ-გულო! — დაიგუნა სიტყვა ავტობუსში ასულ თამილს უტნობმა ქალმა...

— მართლაც რომ ქვეყნის ერთ-გულო! — დამაოწმა ბატონმა ყანსულმა.

— ასე არ იყო? — მივებრუნდი თა-მილას, — პირობაზე როგორა ხარ?

— თუ ღმერთი ინებებს...

— გაისადე ასე რომ გავგიძალდეს ზამთარ? სიტყვის მინდ არ გადახვალ?

— არა და არა, თუ ღმერთი ინე-ბებს... გაისად ხათუნას ყრია. — თქვა მან და დასეულიმა.

— ხათუნასი? — გავიოცე მე. — რაო, გაღწევატა ვათხობევა? ვინ, ვინ არის ის ბედნიერი? არქიტექტორი?

— ვფიქრობ, ასეა. თუმცა თვითონ, თვითონ თქვას. — გაეცქა სიტყვის თა-მილა.

ხათუნა თავის „ბალეუბში“ ჩამდგა-რიყო და შინ წასასველად აწერსგებდა.

— ხათო! — დაუძახე მე.

— ბატონო!

— ხათო, გაისად შენს ბაღში ჩიტი იბარტყებს? შენი ბაღი დაიხუნძლება?

ხათუნა მიმიხვდა სათქმელს. ყერ ნაირ-ნაირფარად აჭრელდა, მერე გაწი-თლდა ზღვილი ჩამავალ მზისფრად, გა-ვარავარდა და თქვა:

— თუ ღმერთი ინებებს!

ოთახში დათბა. გათბა ძვალ-ბილი. უნდა დაეწირო, უნდა დაეწირო ნარკ-ვევი „ხათუნას ბაღზე“... დაღაეწვიტბი. ავიღე კალამი და წერას შევუღექე.

ღინარა ნოღიამ უტყებრა ბავშ-ვებს, აღტაკება ვერ დაფარა და თქვა: «Какая прелесть», უნდა დაეხატო, უნდა დაეხატო ეს ანგელოზები...





ვაჭ, სოფელი.

● ქართველ კაცს სოფელი ქვეყანასთან ჰქონდა გაიგივებული, მისთვის სოფელი მართო „სოფელი“ კი არა, სამყარო-ქვეყანაც იყო. განა ამაზე არ მეტყველებს სიტყვები სოფელ-ქვეყანა, წუთისოფელი, განა ამასვე არ გვიდასტურებს რუსთაველიც — ვაჭ, სოფელი, რაშიგან ხარ... გავიდა დრო და სოფელმა ღრმა შინაარსი ქვეყნის ფუძეობის ხელერთიარად დაჰკარგა. ასე დაეშართა მის ბინადარსაც — ქართველ გლეხს.

მართლაც, არ მეგულება სოციალურად ედრადი სალანძღვი სიტყვა, რომლითაც გლეხი და ვაჭელობა ყველა ბრუნვაში არ მოგვეხსენიების. მხოლოდ ლანძღვა რომ გვექმარა, ვინ ჩიოდა, — ლანძღვიდან გლეხობის აქტიურ მოსპობაზე ვადავდიო. მას შემდეგ სიტყვა „გლეხი“, როგორღაც ყველში გვეჩხირება და დღესაც უფრო ისევ კოლმეურნესაკენ გვიჭირავს თვალი. ასე თანდათან, ჩვენის ნებითა და დასტურით, გლეხი და ვაჭელობა ჩამორჩენილობის, უკულტურობის, სიბნელის, ტეტიაობის სინონიმად ვაქციეთ.

ამდენი მწარე სიტყვისა და ხელის წაჩვევის შემდეგ მან, ვინც მართლა გლეხი იყო, ნამდვილი მშრომელი და მუშაკაცი, თვითონვე იუკადრისა გლეხობა და გლეხის შერქმეული სახელი ითავილა — რა საჭიროა გლეხობა, ვის რაში არგიაო, აი, „მუშა“ მესმის, ეს სულ სხვაა, საზოგადოების ჯანსაღი ნაწილია და თანაც ისეთი ნაწილი, ყველა დანარჩენს წინ რომ მიუძღვის, პარლეტარად მონათლული, ყველასი და ყველაფრის ბატონ-პატრონიაო.

არადა, გლეხობის ქედზე იდგა მიელი საქართველო. „თუ ამოწყდა გლეხი კაცი, საქართველო დაიხმუნდაო“, — ამბობდა პოეტი, მაგრამ მაშინ „ამოწყვეტაში“ სხვა იყო ნაგულისხმევი — მტერს არ გაავალტნითო გლეხი და ჩვენც სათანადო პატივი მივაგოთ, ყოველმხრივ დავიცვათო.

საქართველოში მიწის კულტი იყო ოდიოთან და, ცხადია, ქართულ სახელმწიფოს თუ იგი სხვის ხელეში შემყურე არ იქნებოდა. იმ მიწისა და მისი ბინადრისთვის უნდა ეცა პატივი, რომელიც მას არჩენდა და ინახავდა.

ქართველს რომ ცალ ხელში ხმალი ეჭირა და მეორეში გუთანი, იმას კი არ ნიშნავდა, ქართველი გლეხი ჟონგლიორია: სომ შეუძლებელია ხმალს შოლტივით ხმარობდე და მიწასაც ხნადე, მთავარი აქ სხვაა — მიწათმოქმედება და სამშობლოს, მამულის დაცვა თანაბარ სიმაღლეზე იყო. მაგრამ მას შემდეგ, რაც გლეხს ხელიდან გუთანიც გააგდებინეს და ხმალაც, სამშობლოს დაცვას სხვისი „საიმილო“ ფრისი ქვეშ „შეუყუვა“ ვაჭობინეთ, სოლო უნიკალური ქართული ხორბლისა და სიმინდის მოყვანას, მსოფლიოში სახელგანთქმული ქართული ვაზის მოვლას სავაჭრო დუქნებში შემოღვა ვარჩიეთ.

აი, მაშინ კი საბოლოოდ დაეცა ქართული სოფლის ძლიერება, როდესაც ქართველ გლეხს საკუთარი ხელით მოყვანილი ყურძენი მოსაპარი და საყიდელი გაუხდა. არა და აქამდე სომ მივედით თანდათანობით, მოტყუებით, ძალდატანებით, იძულებით, გზის აცდენითა და ათასი სხვა ფაქტორით. გლეხობას უფლებების მინიჭების ნაცვლად რეზერვაციის მიძიდე ღობე შემოგავლეთ.

რატომ და რისთვის შემოგწყურით გლეხს, რატომ და რისთვის შეგაძულეთ მიწა, რატომ და რისთვის ვაქციეთ ნეთ ზურგი სოფლისაგან?!

თურნე, გლეხი იმისაკენ მისწრაფვის, რომ მატერიალური დოვლათი შექმნას, გამდიდრდეს. სიმდიდრე კი სოციალიზმის ვაი-თეორეტიკოსებს ლახვარივით გულს ესობდათ. სიმდიდრე და სოციალიზმი ერთად ვერ თავსდება — ამიტომ გლეხნი ბურჟუაზიული ცხოვრების წყარო ხდება და ეს წყარო უნდა მოგსპოთო. ყველაზე მდიდარი წყარო ბურჟუაზიული ცხოვრებისა, მამასადამე, შედარებით მდიდარი გლეხი უნდა ყოფილიყო, ასეთი აღმოჩნდა შეძლებული გლეხობა, ანუ ე. წ. „კულაკობა“.

ეგრეთ წოდებულს კულაკობას იმიტომ ვურთავ, რომ



საქართველოსათვის კულაობა არ იყო დამამასიათებელი მოვლენა და არც არაინი იცოდა დღევანდელად, რა იყო და ვინ იყო ეს კულაკი. ამიტომ, განუკითხავად, ვისაც დაუკონკრეტო ტანსაცმელი ეცვა, ან რამდენიმე სული საქონელი ჰყავდა, კულაკობის იარლიყით ციმიბრის გზას გაუყენეს. მაგრამ ჩემი ბაბუის, ალალი და ჭკვიანი გლეხის — სპირიდონ მარუაშვილის მონათხრობი: რაღაც უშემაღლესტაგონში კალშობი ვიყიდე, რომელმაც კინადა მიმოსლა და ამომავლო კაცით. კალშობი ამერიკული წარმოებისა იყო, ფუფუნა სარჩულითა და შავად აპრიალებული, კაციშვილი არ სცემდა ხმას, ვიყიდე და ჩავიციეო. ახელ-დახედეს მგზობლებმა სპირიდონს, ღმერთო, ნუ ვადაკავრებ, რა სასწაული აცვია ამ კაცს და, ცხადია, მთავრობაში დასამინეს; არბეა, გვიშველეთ, სოფელს ერთი ბობოლა კულაკი შეემატათ, სპირიდონს ისეთი ფეხსაცმელები აცვია, წყალი არ შედის შიგ და ისეთი პრიალ-პრიალი გააქვს, თოლს ვერ ვუსწორებთო. მაგრე არ უნდა მაგასო, რას ჰქვია სხევისაგან გამორჩევა გაბედით და ჩაქერეს შვესო, როგორც შვეი კალშობის პატრონს შეეფერებოდეს და ვინ იტოს, სად ამოძვრებოდა სული, რომ შემთხვევით არ გადაჩნდნილიყო.

ასე ტანსაცმლითა და გარეგნობით შერჩეული „კულაკის“ მრავალი ძვალი მიებარა შორეული ციმიბრის გაყინულ მაქას.

საქართველოში ახალფეხადგმული აგარარული მეურნეობები (რომლებმაც ცოტა უფრო გაიფართოვეს მატერი-ალური შესაძლებლობანი და წვრილ გლეხურ მიწათმოქმედებას გამოეყენენ—კულაკურ მეურნეობებად რომ მოეწათთუ-ნენ), ნაძვლი ფერმერულ მეურნეობებად რამდენიმედნენ, საფუძველშივე რომ არ მოგვესმო და ახლა აღარ დაგვჭირდებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში სწავლა, თუ რა არის ფერმერულ მეურნეობა, თუ რა სიკეთე მოაქვს მას. გვექმოდეს ის, რასაც დღეს ვეძებთ და ვერ კი გვიპოვნია — სოფლის მეურნეობის, აგარარული მიწათმოქმედების ჩამოყალიბებული ქართული სისტემა, რომელსაც დაეფუძნებოდა ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებელი არსებობა, სხვისი შევიწყობის ნაცვალად.

სოფელსა და გლეხს ვანადგურების თვალსაზრისით, რაც კოლექტივიზაციამ დააკლო, ხელერთობრივ მაიგო ნიკიტას ზრუნობის აგარარულმა პოლიტიკამ, ნიკიტამ გადაწყვიტა, სოფლის მეურნეობის პროდუქტები, ერთად კი ხორცი, ეწამოებინა არა ბუნებრივი წესით, არამედ, „ჰექტარი სავარგულების“ მიხედვით. ჰექტარი სავარგულების, ამ შემთხვევაში საძოვრის, რაციონალურად გამოყენების ეს წესი, რომელიც მაშინ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებდა, ჩვენს პირობებში უფარვისი ვამბოდა, რადგან „ჰექტარი სავარგული“ ყოფილ სსრკ-ში სრულფასოვანი როდი იყო. იგი ათჯერ ნაკლებ მოსავლს იძლეოდა, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში და, თქვენ წარმო-დგინეთ, რა დღეში ჩავარდებოდა სოფლის მეურნეობა, როცა ერთ ჰექტარზე უნდა აწარმოო, ვთქვათ, ათი ცენტ-ნერი ხორცი, შესაძლებლობა კი ერთი ცენტნერისა გაქვს და დაიწყო სიყალბე და მიწერბი, რასაც ნიკიტა-ზრუნომა თავისი მოწოდებითაც ჩაუყარა საფუძველი, როცა

სოფლის მეურნეობის „აღმავლობისადმი“ მიძღვნილ პლენუმზე გამოვიდა 1958 წელს. მაშინ ნ. ზრუნოვმა თქვა: აი, რიზანის ოლქმა იისრა ხორცის წარმოების გადიდებული ვალდებულებანი, იისრა და შესარულა კიდევ (რი-ზანის ოლქში, სულერთიანად გაუიღტეს საქონელი გ. მ.). თქვენ რას აპირებთ? — მიმართა ზრუნოვმა პლენუმის მონაწილეებს — ვაი, თქვენს ტყვას, თუ ნაკისრ ვალდებუ-ლებას ვერ შესასრულებთ... ვერ შესასრულებთ და ჩაიძირ-რებით ჭაობში, ხოლო თუ ვინდათ რომ არ ჩაიძიროთ, კე-თილი ინებეთ და ბუშტები მიიბი! სწორედ ასე — „ბუშტები მიიბიბი!“ რას ნიშნავდა ქვეყნის სკლამდევანლისა-გან ამ სიმაღლე ტრიბუნალს ნათქვამი სიტყვა? ზოგი ამ-ბობს, ეს ხუმრობა იყო (სულელური ხუმრობა — თუ ეს მართლა ხუმრობა იყო), მაგრამ უმრავლესობამ მიიითებდა მიილი და ჭაობში რომ არ ჩაიძირულიყვნენ — „ბუშტები მიიბე!“ — ანუ, რაც არ გაუკეთებიათ, ისიც შესრულე-ბულად მიიწერეს.

დაიწყო ქალაღების ფრიალ-ფრიალი! ქალაღზე ხო-რცისა და ყველის დამზადება, ფულის უსაქონლო ვადარი-ცხვა-ვადარიცხვა და მოხდა განსაკუთრებული რამ, ის, რისი მოფიქრებაც კი შეუძლებელია სწორმალური სახელმწი-ფოს პირობებში — გეგმა ვადაჭარბებით სრულდებოდა, პროდუქცია კი აღარსად იყო!

